

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის კაპიტალდაბანდებების წახალისებისა და დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა,

აპირებენ შექმნან საუკეთესო პირობები კაპიტალდაბანდებების განხორციელებისათვის თითოეული ქვეყნის მოქალაქეთა და კომპანიების მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე;

აღიარებენ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებით ასეთი კაპიტალდაბანდებების ხელშეწყობა და ურთიერთდაცვა სტიმულს მისცემს კერძო ბიზნესის ინიციატივას და აამაღლებს ორივე ქვეყნის ხალხების კეთილდღეობას;

შეთანხმდნენ შემდგომე:

მუხლი 1

განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის

ა) ტერმინი “კაპიტალდაბანდებები” ნიშნავს ყველა სახის ქონებრივ ფასეულობას და კერძოდ მოიცავს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

(i) მოძრავ და უძრავ ქონებას, აგრეთვე ყველა სახის ქონებრივ უფლებებს, როგორცაა დაგირავება, იპოთეკა, თუ თავდებით დადგომა;

(ii) კომპანიებში წილობრივი, სააქციონერო კაპიტალით, ობლიგაციებით და სხვა გზით მონაწილეობის უფლებებს;

(iii) მოთხოვნის უფლებას თანხაზე, ან ისეთი სახის საკონტრაქტო სამიანობაზე, რასაც ფინანსური ღირებულება გააჩნია;

(iv) უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე, არამატერიალურ აქტივებს, ტექნიკურ პროცესებს და ნოუ-ჰაუს;

(v) კანონით ან კონტრაქტით დადგენილ საქმიან კონცესიებს, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ძიებას, გადამუშავებას, ექსპლუატაციას და ექსპლუატაციას.

ფასეულობათა დაბანდების სახის შეცვლა არ იწვევს მათი არსის, როგორც კაპიტალდაბანდებითა ცვლილებას და გერმინი “აპიტალდაბანდებები” მოიცავს ყველა კაპიტალდაბანდებას, რომელიც განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე ან მის შემდეგ.

ბ) გერმინი “შემოსავალი” ნიშნავს თანხებს, მიღებულს კაპიტალდაბანდებიდან, და კერძოდ მოიცავს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება) მოგებას, პროცენტს, დივიდენდს, ამონაგებს კაპიტალიდან, როიალის და ლიცენზიურ ანაზღაურებას;

(გ) გერმინი “მოქალაქეები” გულისხმობს:

საქართველოს რესპუბლიკისთვის: ფიზიკურ პირებს, რომლებიც იღებენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით;

გაერთიანებული სამეფოსათვის: ფიზიკურ პირებს, რომლებიც იღებენ გაერთიანებული მოქალაქის სტატუსს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით.

(დ) გერმინი “კომპანია” ნიშნავს:

საქართველოს რესპუბლიკისათვის: საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ იურიდიულ პირს, დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა მათი საქმიანობა მიმართული მოგების მიღებაზე;

გაერთიანებული სამეფოსათვის: კორპორაციები, ფირმები და ასოციაციები, რომლებიც შექმნილი ან რეგისტრირებული არიან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანებული სამეფოს ნებისმიერ ნაწილში ან ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლებზეც ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება მოცემული ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

(ე) გერმინი “გერიგორია” ნიშნავს:

საქართველოს რესპუბლიკისათვის: საქართველოს რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული წყლებითა და ტერიტორიულ წყლებს მიღმა ზღვის რაიონით, რომელიც აღნიშნულია ან მომავალში შეიძლება აღინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, როგორც გერიგორია, რომლის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია განახორციელოს უფლებები ზღვის ფსკერთან, ნიადაგისქვეშა ფენებთან და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით;

გაერთიანებული სამეფოსათვის: დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიული წყლებითა და ტერიტორიული წყლების მიღმა ზღვის რაიონით, რომელიც აღნიშნულია ან მომავალში შეიძლება აღინიშნოს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით საერთაშორისო სამართლის შესაბამისად როგორც გერიგორია, რომლის ფარგლებში გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია

განახორციელოს უფლებები ზღვის ფსკერთან, ნიადაგისქვეშა ფენებთან და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით და ნებისმიერი გერიგორია, რომელმაც ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულების მე-12 მუხლის დებულებების თანახმად.

მუხლი 2

კაპიტალდაბანდების წახალისება და დაცვა

(1) თითოეული მონაწილე მხარე საკუთარ გერიგორიაზე ხელს შეუწყობს და შეუქმნის საუკეთესო პირობებს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს დააბანდოს კაპიტალი, და დაეყრდნობა რა უფლებას თავისი კანონდებლობის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაზე, სცნობს ამ კაპიტალს.

(2) თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდები უნდა სარგებლობდნენ სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის რეჟიმით და უნდა სავსებით დაცული იქნან მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე. არც ერთმა მონაწილე მხარემ, დაუსაბუთებლად თუ დისკრიმინაციული ხერხებით არ უნდა შეუშალოს ხელი თავის გერიგორიაზე მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს კაპიტალდაბანდებათა წარმართვაში, განმგებლობაში, გამოყენებაში, სარგებლობასა და გადაცემაში.

თითოეული მონაწილე მხარე ვალდებულია შეასრულოს მოვალეობები, რომლებიც ეხება მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებს.

მუხლი 3

ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დებულებები

არ შეიძლება რომელიმე მონაწილე მხარემ თავის გერიგორიაზე მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებისა და შემოსავლების მიმართ გამოიყენოს ნაკლებად ხელშემწყობი რეჟიმი, ვიდრე იგი იყენებს თავისი მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებათა და შემოსავლების მიმართ ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებისა და შემოსავლების მიმართ.

არ შეიძლება რომელიმე მონაწილე მხარემ თავის გერიგორიაზე მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს შეუქმნას ნაკლებად ხელშემწყობი რეჟიმი კაპიტალდაბანდებათა მართვაში, განმგებლობაში, გამოყენებაში, სარგებლობასა და გადაცემაში, ვიდრე იგი უქმნის თავის მოქალაქეებს ან კომპანიებს, ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს ან კომპანიებს.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მიღებულია, რომ ამ მუხლის (1) და (2) პარაგრაფებით აღწერილი რეჟიმი ეხება წინამდებარე შეთანხმების 1 – 11 მუხლის დებულებებს.

მუხლი 4

ზარალის ანაზღაურება

(1) თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებებმა განიცადეს ზარალი მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, რაც გამოწვეული იყო ომით ან შეიარაღებული კონფლიქტით, რევოლუციით, საგანგებო მდგომარეობით, აჯანყებით, ბუნგით ან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მომხდარი არეულობით, ამ მეორე მხარემ არ შეიძლება შეუქმნას პირველი მონაწილე მხარის კაპიტალდაბანდებებს ნაკლებად ხელშეწყობის რეჟიმი რესტიტუციის, ზარალის ანაზღაურების, კომპენსაციის ან სხვა სახით მოგვარებისას, ვიდრე იგი უქმნის თავის საკუთარ მოქალაქეებს ან კომპანიებს, ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს ან კომპანიებს. საბოლოო გადასახადი თავისუფლად გრანსფერებადი უნდა იყოს.

(2) წინამდებარე მუხლის (1) პარაგრაფისათვის მიანის მიუყენებლად, ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეები ან კომპანიები, რომლებიც ამ პარაგრაფში ნახსენებ ნებისმიერ სიტუაციაში განიცდიან დანაკარგებს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე გამომდიანრე:

(ა) მათი საკუთრების რეკვიზიციიდან ამ სახელმწიფოს ძალების ან ხელისუფლების მიერ, ან

(ბ) მათი საკუთრების განადგურებიდან ამ სახელმწიფოს ძალების ან ხელისუფლების მიერ, რაც არ იყო გამოწვეული საომარი მოქმედებებით, ან არ იყო ნაკარნახევი მდგომარეობის აუცილებლობით,

ექვემდებარებიან რესტიტუციას ან ადეკვატურ კომპენსაციას. საბოლოო გადახდები თავისუფლად გრანსფერებადი უნდა იყოს.

მუხლი 5

ექსპროპრიაცია

თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებები არ უნდა იყოს ექსპროპრირებული, ნაციონალიზებული, ან მოქცეული რაიმე სხვა მისი შედეგებით ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის (აქ და შემდგომში ნახსენები, როგორც “ექსპროპრიაცია”) გოლფასი ღონისძიებების ქვეშ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თუკი ეს არ ეხება ამ პირველი მონაწილე მხარის საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებას შიგა მოთხოვნილებებზე, არადისკრიმინაციულ საფუძველზე და სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური კომპენსაციის სანაცვლოდ. ასეთი კომპენსაცია ეკვივალენტური უნდა იყოს ექსპროპრირებული კაპიტალდაბანდებების ჭეშმარიტი ღირებულებისა, განსამდგრული უშუალოდ ექსპროპრიაციის განხორციელებამდე ან მოსალოდნელი ექსპროპრიაციის ოფიციალურად გამოცხადებამდე, ამ ორიდან რომელიც უფრო ადრინდელია. კომპენსაცია უნდა შეიცავდეს ნორმალურ კომერციულ ღონებზე პროცენტს გადახდის

დრემდე, უნდა განხორციელდეს დაყოვნების გარეშე, უნდა იყოს ეფექტურად რეალიზებადი და თავისუფლად გრანსფერებადი. მოქალაქეს ან კომპანიას, რომელიც დაზარალდა, უნდა ჰქონდეს უფლება იმ მხარის კანონდებლობის შესაბამისად, რომელიც ანხორციელებს ექსპროპრიაციას, სასწრაფოდ შეასწავლოს ამ მხარის იურიდიულ ან დამოუკიდებელ უფლებამოსილ პირს მოქალაქის ან კომპანიის საქმე და მოქალაქის ან კომპანიის კაპიტალდაბანდებების ფასეულობა მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად.

(2) სადაც ერთი მონაწილე მხარე ახორციელებს საკუთრების ექსპროპრიაციას კომპანიისა, რომელიც შექმნილი ან რეგისტრირებული არის მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად თავისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილში, და რომელშიც მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს აქვთ წილი, მან უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პარაგრაფის განხორციელება იმ ზომით, რომელიც საჭიროა, რათა გარანტირებულ იქნეს სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური კომპენსაცია მეორე მხარის იმ მოქალაქეების და კომპანიების კაპიტალდაბანდებებისა, რომლებიც არიან ამ წილის მფლობელები.

მუხლი 6

კაპიტალდაბანდებების და შემოსავლების რეპატრიაცია

თითოეულმა მონაწილე მხარემ მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს მათი კაპიტალდაბანდებების და შემოსავლების შეუზღუდავი გრანსფერგის გარანტია უნდა მისცეს. გრანსფერგი უნდა განხორციელდეს ყოველგვარი გადავადების გარეშე იმ სახის კონვერტირებადი ვალუტით, რომელშიც მოხდა პირველადი კაპიტალდაბანდება ან სხვა კონვერტირებადი ვალუტით ინვესტორსა და მონაწილე მხარის შორის შეთანხმების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული ინვესტორის მიერ, გრანსფერგები უნდა განხორციელდეს გრანსფერგის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით სავალუტო გაცვლის შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 7

გამონაკლისები

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებანი ისეთი რეჟიმის მინიჭების შესახებ, რომელიც არანაკლებ ხელშემწყობია, ვიდრე რეჟიმი გამოყენებული თვით მონაწილე მხარის ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს მოქალაქეების ან კომპანიების მიმართ, არ იქნება გაგებული, როგორც ერთი მონაწილე მხარის ვალდებულება განავრცოს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებზე ან კომპანიებზე ნებისმიერი რეჟიმის სარგებლიანობა, უპირატესობა ან პრივილეგია, რომელიც გამოწვეულია:

(ა) არსებული ან მომავალი საბაჟო კავშირებით ან სხვა მსგავსი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც თითოეული მონაწილე მხარე არის ან შეიძლება გახდეს

მონაწილე, ან

(ბ) ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელიც მთლიანად ან ძირითადად ეხება დაბეგვრას, ან ადგილობრივი კანონდებლობით, რომელიც მთლიანად ან ძირითადად ეხება დაბეგვრას.

მუხლი 8

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრთან ურთიერთობა

(1) ყოველი მონაწილე მხარე აცხადებს თანხმობას წარუდგინოს საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრს (შემდგომში მოხსენიებულად “ცენტრი”) მორიგებით ან არბიტრაჟით მოგვარებისათვის ნებისმიერი იურიდიული დავა, რომელიც წარმოიშვება ამ მონაწილე მხარესა და მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეს ან კომპანიას შორის ამ უკანასკნელის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით პირველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, შესაბამისად კონვენციისა სახელმწიფოთა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ, რომელმაც ხელის მოწერა დაიწყო ვაშინგტონში 1965 წლის 18 მარტს.

(2) საქართველოს რესპუბლიკის ამ მუხლის პირველ პარაგრაფში ნახსენებ კონვენციაში გაწვევრიანებაზე აქ აღნიშნული დავები გადაეცემა განსახილველად ცენტრს იმ წესების თანახმად, რომელთა მეშვეობით იმართება “დამატებითი პირობები ცენტრის სამდივნოს მიერ მორიგების, არბიტრაჟისა და ფაქტების დადგენის პროცედურების გაგარებისათვის (“დამატებითი პირობების წესები”).

(3) კომპანია, რომელიც შექმნილია ან რეგისტრირებულია მოქმედი კანონდებლობის თანახმად ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და რომელშიც ამ დავის წარმოჭრამდე უდიდესი წილი მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს ეკუთვნით, კონვენციის 25 მუხლის მეორე პარაგრაფის (ბ) ქვეპარაგრაფის თანახმად უნდა ჩაითვალოს მეორე მონაწილე მხარის კომპანიად.

(4) რაიმე ამგვარი დავის წარმოშობის შემთხვევაში, თუ სამი თვის განმავლობაში არ მოხერხდა მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა ადგილობრივი საშუალებებით, ან სხვა რაიმე გზით, მაშინ თუკი დაზარალებული მოქალაქე ან კომპანია ასევე განაცხადებს წერილობით თანხმობას გადაეცეს სადაო საკითხი “ცენტრს” მოსაგვარებლად მორიგების ან არბიტრაჟის გზით “კონვენციის” საფუძველზე, ორივე მხარეს შეუძლია დანიშნოს სასამართლო განხილვა “ცენტრის” გენერალური მდივნისადმი თხოვნის მიმართებით, როგორც ეს დადგენილია “კონვენციის” 28-ე და 36-ე მუხლებში. დაზარალებულ მოქალაქეს ან კომპანიას უთანხმოების შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ამორჩევის უფლება მომრიგებელ სასამართლოს ან არბიტრაჟს შორის იმის მიხედვით, თუ რომელი პროცედურაა მისთვის უფრო მისაღები. დავის მონაწილე მხარემ საქმის განხილვის ან იძულებითი გადაწყვეტილების არც ერთ ეტაპზე არ უნდა წამოაყენოს პრევენციის სახელით ის ფაქტი, რომ მოქალაქემ ან კომპანიამ, რომელიც წარმოადგენს დავის მონაწილე მეორე მხარეს, მიიღო სადაზღვევო კონტრაქტით გათვალისწინებული მოქალაქის ან კომპანიის მთლიანი ან ნაწილობრივი დანაკარგების კომპენსაცია.

(5) არც ერთი მონაწილე მხარე არ გადაწყვეტს “ცენტრში” გადაცემულ დავას დიპლომატიური არხების საშუალებით, სანამ:

(ა) ცენტრის გენერალური მდივანი, მომრიგებელი კომისია, ან კომისიის მიერ დაფუძნებული სამედიაციო სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოცემული სადავო საკითხი არ ექვემდებარება ცენტრის იურისდიქციას, ან

(ბ) მეორე მონაწილე მხარე არ შეასრულებს ან არ დაემორჩილება არბიტრაჟის მიერ გამოგანილ რაიმე გადაწყვეტილებას.

მუხლი 9

დავა მონაწილე მხარეთა შორის

(1) დავა მონაწილე მხარეთა შორის, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების ან გამოყენების გამო, შეძლებისდაგვარად მოგვარდება დიპლომატიური არხების საშუალებით.

(2) თუ დავა არ გადაწყდება ამ საშუალებით, მაშინ მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის მოთხოვნის საფუძველზე, ეს საქმე განსახილველად გადაეცემა სამედიაციო სასამართლოს.

(3) სამედიაციო სასამართლო ცალკე იქნება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შემდეგნაირად. არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში მონაწილე მხარეთაგან ყოველი ნიშნავს სამედიაციო სასამართლოს თითო წევრს. ეს ორი წევრი ამოირჩევეს მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც ორი მონაწილე მხარის თანხმობით უნდა დაინიშნოს სამედიაციო სასამართლოს თავმჯდომარედ. თავმჯდომარე დაინიშნება დანარჩენი ორი წევრის არჩევიდან ორი თვის განმავლობაში.

(4) თუ მოცემული მუხლის მე-3 პარაგრაფში აღნიშნულ პერიოდში არ მოხდა აუცილებელი დანიშვნები, სხვა რომელიმე მარეგულირებელი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, მონაწილე მხარეთაგან ნებისმიერს უფლება აქვს მიმართოს საერთაშორისო უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს შესაბამისი დანიშვნები. თუ პრეზიდენტი ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეა, ან თუ ის რაღაც მიზეზის გამო ვერ ასრულებს ნახსენებ ფუნქციას, მაშინ შესაბამისი დანიშვნები უნდა გააკეთოს ვიცე-პრეზიდენტმა. თუ ვიცე-პრეზიდენტი არის მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის მოქალაქე, ან თუ ისიც სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ ახერხებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, მაშინ შესაბამისი დანიშვნები უნდა გააკეთოს უმაღლესი სასამართლოს რანგით შემდეგმა წევრმა, რომელიც არ იქნება მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის მოქალაქე.

(5) სამედიაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ეს გადაწყვეტილება აუცილებელი იქნება ორივე მხარისათვის. მონაწილე მხარეთაგან თითოეული უმრუნველყოფს სასამართლოს თავისი წევრის და სამედიაციო პროცესებში თავისი წარმომადგენლობის მაგერიალურ ანაზღაურებას, თავმჯდომარისა და სხვა დარჩენილ ხარჯებს ორივე მხარე გაინაწილებს თანაბრად. სამედიაციო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია ხარჯები

გადაანაწილოს და ერთ-ერთ მონაწილე მხარეს ხარჯების გადახდის უფრო დიდი წილი მიაკუთვნოს, და ეს გადაწყვეტილება ორივე მხარეს ავალდებულებს. სამედიაციო სასამართლო თვითონ აწესებს თავის პროცედურებს.

მუხლი 10

სუბროგაცია

(1) თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარე ან მის მიერ დანიშნული შუამავალი (პირველი მონაწილე მხარე) ახდენს გადახდას გარანტიით გაცემულ კაპიტალდაბანდებაზე მეორე მონაწილე მხარის (მეორე მონაწილე მხარე) ტერიტორიაზე, მეორე მონაწილე მხარემ უნდა აღიაროს:

(ა) პირველ მონაწილე მხარისათვის დაზღვეული მხარის ყველა უფლებებისა და პრეგენზიების გადაცემა კანონით ან იურიდიული გარიგებით, და

(ბ) რომ პირველი მონაწილე მხარე უფლებამოსილია გამოიყენოს ეს უფლებები და წამოაყენოს პრეგენზიები სუბროგაციის საშუალებით ისევე, როგორც დაზღვეულ მხარეს.

(2) პირველ მონაწილე მხარეს ნებისმიერ შემთხვევაში მიენიჭება ისეთივე რეჟიმი:

(ა) უფლებებსა და პრეგენზიებისადმი დამოკიდებულებაში, რომლებიც მან მიიღო ზემოთ მოხსენიებული გადაცემის გზით და

(ბ) ყოველგვარ გადასახადებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც მან მიიღო ამ უფლებებისა და პრეგენზიების აღსრულების საფუძველზე, როგორც დაზღვეულ მხარეს ჰქონდა უფლება მიეღო თავისი უფლებამოსილებით მოცემული ხელშეკრულების საშუალებით კაპიტალდაბანდებასთან და მისგან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით,

(3) ნებისმიერი გადახდები, რომლებიც მიღებულია არაკონვერტირებადი ვალუტის სახით პირველი მონაწილე მხარის მიერ, მიღწეული უფლებებისა და პრეგენზიების თანახმად, უნდა იყოს გამოსადეგი პირველი მონაწილე მხარის მიერ ნებისმიერ ხარჯის გაწვევისათვის მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 11

სხვა წესების გამოყენება

თუ რომელიმე მონაწილე მხარის კანონმდებლობა ან მონაწილე მხარეების აწარსებული ან შემდგომში ჩამოყალიბებული ურთიერთვალდებულებები საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების დამატებით, შეიცავს ზოგად ან სპეციალურ დებულებებს, რომლებიც ანიჭებენ მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეების

ან კომპანიების კაპიტალდაბანდებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე იძლევა წინამდებარე ხელშეკრულება, მაშინ მოცემული დებულებები უნდა პრევალირებდეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის დებულებებზე, იმდენად, რანდენადაც ისინი მეტად ხელსაყრელი არიან.

მუხლი 12

მოქმედების ზონა

აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, ან ამის შემდეგ ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დებულებები შეიძლება გავრცელდეს იმ ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც გაერთიანებული სამეფოს მთავრობაა პასუხისმგებელი, რაც შეთანხმდება მონაწილე მხარეთა შორის ნოტების გაცვლით.

მუხლი 13

ძალაში შესვლა

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 14

მოქმედების ვადა და შეწყვეტა

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება ათი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ამოიწურება თორმეტი თვე იმ დღიდან, როდესაც ნებისმიერი მონაწილე მხარე მეორეს გაუგზავნის შეწყობინებას ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. იმ კაპიტალდაბანდებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებული იყო წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე, ხელშეკრულების დებულებები დარჩება მიქმედებაში მისი ანუღირების თარიღიდან შემდეგი ოცი წლის განმავლობაში და შემდგომში საყოველთაო საერთაშორისო სამართლის წესების გამოყენებაში დარღვევის გარეშე.

ამის დასტურად, შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა ხელი მოვაწერეთ აღნიშნულ ხელშეკრულებას.

ხელმოწერილია 1995 წლის 15 თებერვალს, ქ. ლონდონში ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამავე დროს ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ
ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს

მთავრობის სახელით